ბევრია ხელის შემშლელი დღეს ტფილისში საქართველოს ეკლესის ავტოკეფალობისა. ბევრს ამ მოწინაალმდეგეთა არც კი ესმით სრულებით თუ რა არის ეკლესიის ავტოკეფალობა. ბევრს ჰგონია, რომ ავტოკეფალობა ერთი სახელმწიფოს ორ სახელმწიფოდ გაყოფა იყოს!.. **ზოგიერთებს კერძო ინტერესები აქვსთ სახეში** და ამისთვის ეგზარხოსობის მოშლა მათ დიდ უბედურებად მიაჩნიათ წარმოიდგინეთ, ძველ დროში, ძლიერ იშვიათი საქმე იყო რომ მიტროპოლიტობა საქარ. ეგზარხოსებს შეხვედროდათ. უკანასკნელ დროს კი მიტროპოლიტებად მხოლოდ ეგზარხოსები ინიშნებოდენ. 1892 წელში ყველა მიტროპოლიტები უწმიდესი სინოდისა ეგზარხოსად ნამყოფები იყვნენ. ისინი რომ ეგზარხოსებად ყოფილიყვნენ, ვგონებ, მათ რუსეთში არც ერთს არ შეხვდებოდა მიტროპოლიტობა. ეს გარემოება ძლიერ აბრკოლებდა და აბრკოლებს დღესაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობას... თუ როდისმე დეპუტაცია გაიგზავნა ნამესტნიკთან დეპუტაციამ კარგად უნდა განუმარტოს მათ ბრწყინვალებას, რომ საქართველოს ეკლესიის ხსნა შეიძლება მხოლოდ მოციქულების და მსოფლიო კრებათა კანონების თანახმად მმართველ-გამგეობის აღდგენას და არა ბიუროკრატიულ წეს-წყობილებას. დაარწმუნოს და განუმარტოს მათ ბრწყინვალებას, რომ დატოვება საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობისა ძველებურად, შემდეგ 17 ოქტომბრის მანიფესტისა მეტის-მეტად საშიშო არის. უნდა იცოდეს ყველამ, რომ დატოვება ეკლესიის ძველი წეს-წყობილებისა, 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, არა მარტო საქართველოს ეკლესიისათვის, არამედ რუსეთის ეკლესიისთვისაც ფრიად საშიშოა. ამიტომაც არის, რომ რუსეთში შეგნებულმა სამღვდელოებამ და მღვდელთ მთავრებმა ხმა აღიმაღლეს და ითხოვენ ეკლესიის მართვა-გამგეობის საქმის მოწყობას მოციქულებისა და მსოფლიო კრებათა კანონების თანახმად.

ქართველების მტრები გაზეთების საშუალებით ავრცელებენ ხმებს, რომ ქართველებს და უმეტეს ნაწილს სამღვდელოებისას არა სურთ ავტოკეფალობაო. უნდა დაუმტკიცოს საზოგადოებამ მათ, რომ ეს ცილის წამება არის. (გაზ. მწყემსი.)

---

## კათოლიკეთა სამღვდელოების საყურადღებო.

ტირასპოლის **რომის კათოლიკეთა** ეპარხიის ეპისკოპოზმა იოსებ კესსლერმა დაუგზავნა ყველა ეპარხიის სამღვდელოებას, მიწერილობა № 63. რომელთაც აცყობინებს როგორ მოიქცეს სამღვდელოება **შემდეგ 17 ოკტომბრის მანიფესტის გამოცემისა** ეკლესიების აღშენების დროს. დაწვრილებით მიწერილობას გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს შემდეგში.

---

## საქართველოს სამღვდელოების საყურადღებოდ.

გაზეთს „კოლოკოლ“-ს თურმე მოსვენებას არ აძლევს ის გარემოება, რომ ქართველებმა, ამ ერთმა მუჭა ხალხმა, გაბედეს და უზარმაზარს რუსეთის ეკლესიას ავტოკეფალობა მოსთხოვეს. ამ საკითხს აღნიშნულმა გაზეთმა უკვე რამდენიმე წერილი უძღვნა, ხოლო დღეს ერთ ახალ მეთაურსაც ვკითხულობთ.

მეთაურის ავტორი („კოლოკოლ“ № 39) ცდილობს დაარწმუნოს რუსის საზოგადოება და სინოდი, ვითომ საქართველოს ეკლესის ავტოკეფალობა მთელი ქართველის სამღვდელოების მოთხოვნილება კი არ ყოფილიყოს, არამედ ერთი მუჭა „სეპარატისტებისა“, რომელთ მეთაურადაც მას მი-

არნია „ქუთაისის ეპისკოპოსისი ლეონიდი" და „სოხუმის მღვდელ მთავარი კირიონი".

ნუ თუ ეს ცილის-წამება უყურადღებოდ უნდა დასტოვოს ჩვენმა სამღვდელოებამ, რომლის შესახებაც იგივე „ვტორი ისე სიტყვას არ იტყვის, რომ „მეამბოხეები" („мятежные") არ უწოდოს?!

ამას გარდა ავტორი გადკრით აცხადებს, ვითომ ხუთს ქართველ ეპისკოპოსს შორის (ალბად: კირიონი, ლეონიდი, გიორგი, პეტრე და ექვთიმე იგულისხმებიან, რადგან ამათგარდა საექსარხოსოს საზღვარებში კათედრა არც ერთ ქართველ ეპისკოპოსს არ უჭირავს), -ორი ყველასაგან ცნობილი იყოს, როგორც მტკიცე მოწინაღმდეგე საქართველოს ავტოკეფილობის პროექტისა".

მაგრამ როგორც ზემოდ დავინახეთ, ლეონიდისა და კირიონის შესახებ იგივე ავტორი პირდაპირ ამბობს, რომ ისინი ავტოკეფალობის მომხრენი არიან. დარჩა, მაშასადამე, სამი ქართველი ეპისკოპოსი: გიორგი, პეტრე და ექვთიმე...

საინტერესოა ვიცოდეთ როგორს პასუხს -გასცემენ ეს უკანასკნელიი სამისიონერო გაზეთის თანამშრომელს იმ ცილის წამების გამო, რომელიც ზემოდ ამოვწერეთ.

უეჭველია მათს პასუხს დიდი ზნეობრივი მნიშნელობა ექნება როგორც სამწყსოსათვის, ისე იმ ორ ეპისკოპოსისათვის, რომელნიც აგერ თვე-ნახევარზე მეტია, პეტერბურგში იცავენ ბიუროკრატიის წინაშე საქართველოს ეკლესიის დამოკიდებლობას, (ცნ. ფურ.)

---

## ნამესტნიკის სიტყვა.

ექვს მარტს, უკანასკნელი სხდომა იყო სასახლეში სომეხ თათართა დელეგატებისა. სხდომაზე გრაფ ვორონცოვ-დაშკოვმა შემდეგის სიტყვით მიმართა დელეგატებს:

„თქვენ სხდომებში ბევრს ისეთს კითხვებს შეეხენით, რომელნიც, საბოლოოდ საგნს ვერ გადასწყვეტენ სამდროისო მოთხოვნილების შესაფერად. როდესაც სახლი იწვის, არ არის დრო მაშინ იმაზე ფიქრი თუ ხელახლა როგორი მასალისაგან უნდა აშენდეს სახლი, რომ ცეცხლმა ვერა ავნოს რა. მაშინ საჭიროა მხოლოდ გაგანია ცეცხლის ჩაქრობა. თქვენ ეს ცეცხლი ვერ ჩააქრეთ, თუმცა ცეცხლის გაჩენის მიზეზი ორივე მხარემ კარგად იცის—უწესოდ იქცევიან ერთის მხრით შეიარაღებული ორგანიზაციები და მეორისა ავაზაკთა ბრბო.

ამგვარ უწესობას მართებლობა ვერ შეიწყნარებს და შესაფერი ზომები მიღებულიც არის და შემდეგში მიიღებს. ხელმწიფეს ნებავს, რომ სომეხ თათართა უთანხმოება მოისპოს და მოისპობა კიდეც. მოგმართავთ თქვენ, ბატონებო, იქონიეთ გავლენა თქვენს ხალხზედ და გადაეცით იმათ ხელმწიფის სურვილი".

ზოგიერთი პრაქტიკული ზომები, რომელნიც თქვენ სხდომებში მოხსენებულ იქმნა, ჩვენგანაც მიღებულ იქმნება, ზოგზე კი აი რას გეტყვით: საყოველთაოთ იარაღის ახსნა, რომელზედაც ბ. ხატისოვი აქ ლაპარაკობდა, ჩემის აზრით შეუძლებელია. კალმის ერთის მოსმით, ვისაც ათასი წლობით იარაღი უტარებია, იმას უცბათ ვერ ჩამოართმევ იარაღს... ყველას ამათ იარაღი თავის დასაცველად აქვსთ. მე თანახმა ვიქნები ყველას ავხსნა იარაღი, თუ კი ეს სესაძლებელი იქნება—დარწმუნებული კი მხოლოდ ამაში ვარ, რომ იარაღს მოგვცემენ მხოლოდ მშვიდი მცხოვრებნი და ვისაც კი ბოროტ-განზრახვებისათვის აქვთ იარაღი—ისინი შეიძლებენ გადამალვას, ამისთვის საერთოთ იარაღის ახსნას ვერ მოვახერხებთ, მაგრამ აუცილებლად მიმაჩნია ყველა ორგანიზაციებს და ბოროტ განზრახველთ იარაღი აეხადოს.—ვფიქრობ, დადგება მალე ისეთი დრო, როდესაც ცივილიზაციის წყალობით იარაღის ტარება კავკასიაში არავის დასჭირდება. ვათავებ მით, რომ თქვენ აქ ყველას სურვილი გქონდათ ზავით საქმის გათავებისა და გთხოვთ ეს თქვენი იმედები გადასცეთ თქვენ თქვენს რწმუნებულთ!!.

---

## სიტყვა იესო ქრისტეს ვნებაზედ.

**Traditus est propter delicta nostra**

**იესო ქრისტე რომელი მიეცა ცოდვათა ჩვენთათვის რომაელთა. 4—25**

საყვარელნო ძმანო, დღევანდელი დღე ეკლესიამ განსაზღვრა გლოვისათვის მწარე სიკვდილისა გამო მაცხოვრისა ჩვენისა. ამ საგანზედ კმარა მარტო რომ წარმოვიდგინოთ სისხლით შეღებული ჯვარცმა იესო ქრისტესი.

ამ ჯვარცმით ვჰსცნობთ და ჩავჰხვდებით თუ ვითარ განუზომელად შეგვიყვარა ჩვენ მაცხოვარმა და თუ ვითარ დიდათ შეწყენილი იყო ღმერთი ცოდვებითა ჩვენითა

დიაღ ეს ჯვარცმა უფრო ცოცხალი და მკვეთრის ნაირობით გამოგვიხატავს მაცხოვრის ვნებათა

და შეწუხებათა, ვიდრე ჩემეური უძლური მოძღვარი.— მაშ შეხედეთ ცრემლოვანის თვალით მაცხოვარსა სამი ლურსმით დამოკიდებულს დაუკვირდით მას თუ ვითარ თვალები უგავს სულ ამომავალსა სხეული მრთლად დაფლეწილი და წყლულებით აღვრილი, პირის სახე ნერწყვით აღვსილი, წევს ჯვრის მწუხარების ლოგინზედ და არავისაგან ნუგეშის ცემა არა აქვს და ესრედ იხდის ზეციერი მამის წინაშე ჩვენი ცოდვების სამაგიერო პატიჟსა. მაშ თუ ჩვენ ამ ჯვარცმული მაცხოვრის ხილვაზედ მარტო ბუნებით მგრძნობელობით ვიგლოვებთ და ცრემლათ დაღვრიან თვალნი ჩვენნი და არ აღიძრვის ჩვენი გული სინანულისათვის ჩვენი უანგარიშო ცოდვების გამო, რომელნიც მიზეზნი არიან მისი მწარე სიკვდილისა, მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენი გული უფრო უგრძნობი და გაქვავებულია, ვიდრე ის უსულო ქმნილებანი, რომ მზე და მთვარე ბნელდებიან, დედა მიწა თრთის და კანკალებს კლდენი სკდებიან და საფლავნი იღებიან. მაშ უკეთუ ჩვენ შენანებისათვის არ აღვიძრვით მარტო იმის განზრახვით, რომ ჩვენ, ცოდვითა ჩვენითა მოწყალე ღმერთს ვაწყენთ, მაინც შეუშინდეთ მის შურის ძიებას, რომ უკეთუ ღმერთი განუზომელად მოწყალე ეგრე მწარედ საშინლად მოეპყრო იესო ქრისტესა, რომელმაც მხოლოდ ცოდვის სახე მიიღო, რაოდნად მწარედ და შეუბრალებლად არ მოგვეპყრობა ჩვენ, რომელნიც ვართ თვით ცოდვილნი და მიზეზნი მისი საყვარელის ძისა მწარე სიკვდილისა.

მაშ რომ ნაყოფიერი იყოს ჩვენთვის დღევანდელი განზრახვა საჭიროა ა.— წარმოვიდგინოთ იესო ქრისტეს ზეთიხილის მტილში მწარე და ენით გამოუთქმელ შეწუხებაში ყოფნა მიზეზისა გამო ჩვენი ცოდვებისა, რათა მით ჩავჰხვდეთ თუ ცოდვა რაოდნად დიდი წყენაა ღვთისა. ბ.—სსჭიროა წარმოვიდგინოთ თუ მაცხოვარი ჩვენი ჯვარზედ დამოკიდებული ვითარ მწარე შეწუხებაში და სულ ამამავალობაშია, რათა მით გავიგოთ, თუ ვითარ ცოდვა საშინელ შურის ძიების ღირსი ჰხდება წინაშე ღვთის რისხვისა. და ამ ორი საგნისათვის იქმნება ჩემი დღევანდელი ლაპარაკი

### I ნაწილი.

ჩვენ რომ ჩავხვდეთ იესო ქრისტემ რაოდენი შეწუხება დაითმინა გეთსამანის მტილში, საჭიროა გავიგოთ რაოდენობა მისი სიყვარულის. მას განუზომელად უყვარდა მამა ზეციერი, ჰხედავდა, რომ იგი უზომოდ შეწყენილი იყო კაცთაგან; მეორე კერძოდ რიგის გარეთად მას უყვარდა ცოდვილნიცა, ჰხედავდა, რომ ესენი სამუდამოდ დასჯილნი იყვნენ ჯოჯოხეთისათვის და არც სრულობით შეეძლოთ ცოდვის სასჯელის გარდახდა. ამ განზრახვამ იგი შთაგდო მწარე შეწუხებასა და ურვაში. მაგრამ თვისი სიყვარული რას აგონებს მას? აგონებს იმას რომ თვითონ აკისროს კაცის დახსნა წარწყმედისაგან და თვითონ მათ ადგილს გარდაიხადოს ზეციერი მამის წინაშე ცოდვის სასჯელი და შეარიგოს იგინი ღმერთთან.

ამისთვის იგი დავარდება დედა მიწაზედ და ევედრება ზეციერ მამასა ჰოი მამაო ვიცი, რომ მრთელ კაცთ ნათესავსა არ ძალუძს შენი სიმართლის დაფასება, რადგან რაიც უნდა შემოგწირონ, უღირსნი არიან მაინც წინაშე შენსა; მაგრამ აგერ მე, მამაო წმიდაო, ღირსი შესაწირავი, რომლით შეწყენილი შენი დიდ მშვენიერება სრულად დაკმაყოფილდება და ცოდვაც ღირსად გაირისხება.— ზეციერი მამაც მიიღებს თვისის ძისაგან მირთმეულს შესაწირავსა, დასდებს მასზედ მრთელი ქვეყნის ცოდვათა. იმიერით აღარ უმზერს მას თავის სიყვარულის საგნად, ადამიანად მიიჩნევს მას დაწყევლილ საგნად და დატვირთულად მრთელ ქვეყნის ცოდვითა.

მაშინ იგრძნო რა მაცოვარმან რომ დატვირთული იქმნა მრთელ კაცთ ნათესავის ცოდვითა, ფრიად დიდ და მწარე ბარძიმად ეჩვენა. თუმც უნდა შესვას იგი, მაგრამ ძლიერ კი ეძნელება. მისი სული ღრმა და მწარე შეწუხებაში შთავარდება, სიმწარისაგან სისხლის ოფლი მოსჭდის და თითქმის სულ ამამავალობაში ვარდება, თრთის და კანკალობს, ევედრება მამასა თვისსა: „მამაო გარდაარონინე სასუმეველი ესე ჩემგან," მაგრამ ზეციერი მამა ნაცვლად მისი განმხნევებისა, ეუბნება მას არა, არა, სავსებობით უნდა შესვა სასუმელი ბეგეო.

იესო დაემორჩილება ზეციერის მამის განაჩენსა, მაგრამ მწუხარება უფრო და უფრო ემატება; მოვა თვის მოციქულებთან, რათა განუცხადოს მათ თავისი მწუხარება და ეტყვის; შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკვდილადმდე, იფხიზლეთ და ილოცეთ, მაგრამ იგინი ღრმა ძილში მიცემულნი იყვნენ და აღარასფერი ეყურებოდათ რა მისი

იესო წავა და ხელ ახლავ იმ ლოცვას დაადგება; კიდე გული შეუწუხდება, მოვა ხელ ახლავ მოციქულებთან, და ოდეს ნახავს მათ უნალ-

ვლელად მძინართ გულისა მწუხარებით აღვსილი წავა და დაუვარდება ზეციერსა მამას და ევედრება ერთ და იმავ ლოცვითა: მამაო გარდაჰრონინე სასუმელი ესე ჩემგან, მაგრამ იგი ერთსა და იმავ უარზედ არის.

მაშინ მისჰცა თავი თვისი ყოველ სახის მწუხარებასა და ურვასა. მან წარმოიდგინა ყველა სატანჯველნი და შეწუხებანი, რომლნიც მას უნდა დაეთმინა.

მაგრამ ოჰ თუ ვებრ მწარე და საშინელი წარმოდგინება იყო მისთვის! ჰხედავს თვის სიბრძნის სარკეში მთელ ჯოჯოხეთიურ ძალთა მას წინაღმდეგად აღდგომილთა ჰხედავს საშინელ საღვთო სამართლის რისხვათა თვის მოსულთა, ხედავს ყოველთ ბოროტთ კაცთა ბრაზითა თავის სატანჯავად განმზადებულთა, ესმის მათი ყოველი შეურაცხყოფანი და გმობანი; ჰხედავს მწარე და უწყალო შოლტის ცემასა; ჰხედავს ჯაჭვთა ეკლის გვირგვინთა, ჯვარსა და ლურსმნებსა, რომელთაც გასატანჯავად უმზადებენ მას; მაგრამ უმზერს უფრო თვისი გულის დამფრეწელს საგანსა, რომ თვისმა მწარე სატანჯელმა და ძვირფასმა სისხლმა ჰრავალთა უქმად უნდა ჩაუაროს რადგან ფეხ ქვეშ უნდა დაჰქელონ მისი წმიდა სისხლი უწმიდური გულით მიღებითა წმიდა ზიარების საიდუმლოში. ერთი სიტყვით, ჰხედავს რომ თვისი გარდანამეტი სიყვარული მრავალთა არ ნუდა ისარგებლონ და კიდევ უნდა წაწყმდნენ, შემდგომად იგოდენი მწარე სატანჯელების დათმენისა. ამაზედ სიმწარით აღენთობა მისი საღმრთო გული და იტყვის ფსალმუნის ამ სიტყვითა duae utilitas in sanguine meo dum descendo corruptiomem რამე სარგებელ არს სისხლთაგან ჩემთა თუ შთავიდე განსახრწნელსაო. ფსალ. 29, 9.

—ეს წარმოდგენა ჰშთაგდებს მის ღრმა და მწარე დაფიქრებაში, დაშთება უძრავად და დაიწყებს სულთქმას; ხან ცრემლი ღვარღვარით მოსჰდის თვალებიდგან და ხან სიმწარისაგან იგი უშრება. მის ბაგეთაგან სხვა ხმა აღარ გამოდის თუ არ ეს თითოოროლა სიტყვა, როგორც სულ ამომავალსა: მამაო ჩემო, მამაო ჩემო, აღიძარ ამ მწუხარე მდგომარეობაზედ ძისა შენისა და აღხვენ სიმწარის ბარძიმი ესე ჩემგანო.

—რას ამბობ, ჰი ღვთაებრივო მაცხოვარო, თუ რომ შენ არ ინებებ მაგ მწარე ბარძიმისა ღვთის რისხვის შესმა მაშინ არა რომ თვით ჩვენ უნდა შევსვათ; მაგრამ ნუთუ შეგვიძლია მისი შესმა? არა, არა, ჩვენ არ შეგვიძლია, არამედ საჭიროა საუკუნოდ ერთობ წარვჰსწყმდეთ!

—გარნა, საყვარელნო მსმენელნო, ნუ შეშინდებით და გული ნუ გაგიტყდებათ, მაცხოვარს უზომოდ უყვარვართ და უმძვირფასესად მიეჩნივართ ჩვენ, იგი ჩვენ არ დაგვტოვებს თვისი მამის საშინელ რისხვის ხელში; არამედ თვისი სიყვარული ჩვენდამი ქონვილი. ჰსძლევს თავის ბუნების წინამღდეგობათა და შესვამს ყოვლად მწარე ბარძიმსა ესრედ მეტყველი: მამაო ჩემო. შური იძიე და განრისხე ჩემში ცოდვა, დასჰცალე მთელი სიმძიმე რისხვისა შენისაო Pater mi, fiat voluntas tua et non mea მამაო იყავნ ნება შენი და არა ჩემიო.

—მაგრა ამ მორჩილებაზედ, ოჰ. თუ ვითარ გაუორკეცილდება მას მრთელი სიმძაფრე მწუხარებისა: თვალები ჩაუცვინდება, სახეზედ სიკვდილის ფერი გარდაეფინება და შთავარდება უნუგეშოდ მწარე სულ ამომავლობაში. ჰი უწყალოვ სულ ამამავალმა სისხლი სიმწარისაგან შემჭიდრრებული იწყებს ღვარღვარით მდენასა მრთელი ტამრებისაგან, პირის სახე მთლად სისხლით შეღება მრთელი სხეული სისხლისგან და იცლება ესრედ სისხლით მორძყული დედა მიწაზედ გაწოლილი წევს თითქოს მკვდარისავით სისხლით შესვრილი მაცხოვარი ჩვენი!

აჰ! საყვარელნო მსმენელნო, ნუ თუ ეს ყოვლის მპყრობელი ძე ღვთისა არ არსჰ რომელმაც ერთი სიტყვით ცა და ქვეყანა გააჩინა? ნუ თუ ეს ყოვლად საყვარელი ძე მამისა არ არის, რომელიც არს ხატი ბრწყინვალება და დიდება მისი! დიახ რომ არის, მაგრამ ამით ნაცვლად ჩვენი სარწმუნოებისაგან მოკლებისა, უფრო უნდა აღემატოს ჩვენი სარწმუნოება მის ღვთაებისა მიმართ, რადგან მხოლოდ ღმერთს შეუძლია ცოდვის მრთელი სიმძიმე იგრძნოს და მითვე ჩვენც დაგვანახოს, თუ რაოდნად ცოდვა შემაწყენლია ღვთისა.

ჰი წყეულო ცოდვავ როგორ გავჰბედე მე შენი მოქმედება, ისიც ხშირად და არასფრად დათვლით! განა უფრო არ უნდა მერჩია ათას გზის სიკვდილი, ვირემც შენი შესრულება? ჰი შენ გარკინებულო გულო ცოდვილისაო, რატომ ერთიანად არ შეიმუსრები ამ საშინელს წარმოდგენაზედ, რომ ღმერთი მწარედ ჰსტირის შენს მოქმედებულს უსჯულოებასა მწარე სისხლის ოფლის დენითა და შენ კი აგრე უგრძნობად ხარ და არ აღიძვრი სინინულისათვის შენი ცოვებისა გაიო?.

ჰი, მაცხოვარო იესოვ, გთხოვთ მდაბალის გულითა, რათა გვიწილადო ჩვენც ერთი ნაპერწკალი შენი განუზომელი მწუხარებისა, რომელიც დაითმინე ჩვენი ცოდვებისათვის; შთაღვარე ჩვენს

გულშიაც ერთი წვეთი შენი სიმწარისა, რომელიც იგრძნო ღვთაებრივმა გულმან შენმან გეთსამანის მტილში ცოდვათა გამოჩენითა, და თუ ვერ ვღირსებით იმა სისხლის დაღვრით სამაგიერო სიყვარული გიჩვენოთ შენ, მაინც მოგვანიჭე ის მადლი რომ უხვად ცრემლის და ღვრით ვჰსტირდეთ და ვნანობდეთ ცოდვათ ჩვენთა.

აჰ!, საყვარელნო მსმენელნო, უკეთუ ხილვით მაცხოვარისა ჩვენისა, რომელიც ჩვენი ცოდვების ასახოცველად სისხლის ოფლში შესვრილი და მწარე სულთამძავლობაში, და მით ჩვენი გული სინანულისათვის არ ალირვის და გაქვავება სიპ კლდესავით, მაინც ალვიძრათ სინანულისათვის განზრახვით ჯვარზედ სიკვდილისა გამო მისა, რომელიც მწარე შეწუხებას ჰსწევს და მით იხდის ზეციერი მამის წინაშე ჩვენი ცოდვების სამაგიერო სასჯელსა, რათა მით შთავხვდეთ, თუ ცოდვა რაოდნად მწარე და ფიცხელი შურის ძიების ღირსია წინაშე ღვთისა.

### მ ე ო რ ე ნ ა წ ი ლ ი

უწინარეს იესო ქრისტეს გოლგოთის მთაზედ განზრახვისა, საჭიროა საყვარელნო მსმენელნო, წარმოვიდგინოთ ყოველი ის, რაც მას წინათ შემთხვია: პილატემ, რათა ასიამოვნოს ჰურიათა, ჩააბარა იგი გამხეცებულთა მტარვალთა, რომელთაც, მიაკრეს იგი სვეტზედ და დაუწყეს შეუბრალებლად ცემა. მთელი ხორცი ფაფუკი მისი წყლულებით აღივსო უზომო ცემისაგან, გაეღო მრთელი ტამრები, სისხლმა დაუწყო დენა ღვარ ღვარით მრთელს ნახხამებისაგან, დედა მიწა მრთლად მოირწყო სისხლითა მისითა და ის უშჯულო ბარბაროსნი არ სცხრებიან ცემისაგან, თუ არ მისთვის, რათა სხვა ახალი სატანჯველნი დაუმზადონ მას.—შემოსვეს მას დაფერეწილოს შესამოსსა, მისჰცემენ ხელში ლერწამსა. დაადგმნენ მის სალმრთო თავზედ ეკლით გვირგვინს, რათა გაჰკიცხონ მისი მეფობა; აღავსებენ მის სალმრთო სახესა ნერწყვითა, დაუჩოქებენ წინ და შეურაცხყოფით მოიკითხებენ მეფედ ჰურიათა. ამგვერ სამწუხარო და შესაბრალის მდგომარეობაში მყოფს მაცხოვარსა, პილატე წარუდგენს მას ჰურიის ერსა თქმით: აჰა კაცი იგი **Ecce homo**- რომლითა თქმა უნდოდა: აჰა კაცი იგი თუ ვითარ შესაბრალის მდგომარეობაშია, განა ვერ გასძღებით მისი შურის ძიებისაგანო?

ამან ნაირად მამაზეციერი წარმოგიდგენს ჩვენ თავის საყვარელს ძესა და გვეუბნება: აჰა კაცი იგი, რომელიც არს მხოლოდ შობილი ძე ჩემი, ხატი არსებისა ჩემისა და ბრწყინვალება დიდებისა ჩემისა, დაუკვირდით, თუ თქვენმა ცოდვამ რა შესაბრალის მდგომარეობაში მიიყვანა. თქვენ, ჰო ცოდვილნო, თქვენის ცოდვით დაუფერიწეთ მას თვისი ფაფუკი და უმანკო ხორცი, თქვენ გააუშნოეთ მისი ბრწყინვალება და აღავსეთ მისი სხეული წყლულებითა. მაშ დასჰცხერით და ნუღარ ჰსდევნით მაცხოვარსა თქვენსა, რომელსაც სხვა არარაი ჰსწყურია თუ არ თქვენი სულის ცხონება: მაგრამ კარგად იცოდეთ რომ ისევ ეს ძე ჩემი, რომელიც თქვენი დახსნისათვის ქვეყანად მოვიდა, კიდევ უნდა მოვიდეს, მაგრამ არა თქვენის დახსნისათვის, არამედ მჰიდროდ თქვენი გასამართლებისათვისო.

გარნა ცოდვილნი გულ გაქვავებულნი და ცოდვაში დაჟინებულნი შეჰლალადებენ მამა ზეციერსა და ნაცვლად მაცხოვრის შებრალებისა უპასუხებენ: ჯვარს აცუ, ჯვარს აცუ ეგა. მაშ. ჰოი მაცხოვარო, მიხედე ყოველთ შენი ჯვარცმა ჰსურს და მხოლოდ ჯვარცმით შეგვიძლია მათი ბრაზი დააცხრო.—ჯვარი კიდევაც განმზადებული იყო, და მაცხოვარმა, რა დაინახა იგი, გარდაეხვია მას თქმითა: ჰოი ჯვარო წმიდაო, ჯვარო ძვირფასო, დიდი ხანია შენზედ სიკვდილი მსურდა შენზედ დასახსნელად კაცთ ნათესავისაო, ემთხვევა მას აიღებს მხარზედ და შეუდგება გოლგოთის გზასა, რათა მუნ დაასრულოს უკანასკნელი თვისი შესაწირავი.

აგერ, ძმანო, ის უმანკო ისაკი, რომელსაც თავისი სიკვდილის იარაღი მიაქვს და მიდ-ს გოლგოთის მთასა ზედა. ჰოი მწარე წარმოდგენავ: მაცხოვარი მრთლად სისხლისაგან დაცლილსა და ღონე მოკლებულსა თავი ველარ დაუკავებია, ყოველ ფეხის გადადგმაზედ მიწაზედ მწარეთ ეცემა და გზაც მისი სისხლის წვეთებით ილებება!—აჰა რა გოლგოთის მთაზედ სწრაფად გააშიშვლებენ. უბრძანებენ ჯვარქვეზედ გაწოლასა და იგიც დაემორჩილება; მოსჭიხოვენ ხელ ფეხთ და იგიც სიმშვიდით გიუწოდებს მათ. შემდგომად აღმართვენ ჯვარსა და ჩაახეთქებენ უწყალოდ ამოთხრილ ადგილში. ამ დროს მრთელი წყლულები ხელახლა გაეღება და მით განუახლდება მრთელი სიმძაფრე სატანჯველებისა, და ესრეთ ამართული ცისა და ქვეყნის შუა იცოცხლებს კიდევ სამ საათსა. მას არა აქვს არავითარი ნუგეში არც ზეციერის მამისაგან რომელმაც იგი მიატოვა მარტო მის კაცობრივი ბუნების ძალაზედ, არცა თავის მოწაფეებისაგან, რომელთაც შიშით მიატოვეს იგი და მიმოიმალნენ.













ქრისტიანული ცხოვრებიდან—სხვა და სხვა სცენანი

იესო ქრისტეს ვნებისა.

ჰოი საშინელო სღვთო სიმართლევ, აქმავე ძესა შენსა ცსოდენი მწარე სატანჯველები და განარინე იგი ამ მწარე შეწუხებისაგან; მაგრამ სღვთო სიმართლე ღაღადებს: არა, არა, საჭიროა იგი მოკვდეს ასახოცველად ცოდვათა. ამ დროს უმანკო იესო შესწირავს თავსა თვისსა ზეციერ მამასა დაიმდაბლებს თავსა თვისა ნიშნად მორჩილებისა და განუტევებს სულსა.

ამაზედ ღაღადებს მოციქული მეტყველი: ჰოი ადამიანნო, მიხედეთ მაცხოვარსა თქვენსა სიმწარით სულ ამამავალობაზედ მიყვანილსა, ჰსცანით თუ ცოდვა რა არის, და როგორ საშინელი რისხვაა მისთვის განმზადებული. დახედეთ, თუ როგორ განხორციელებულა ღმერთი მრთელი სისხლისაგან იცლება, ცოდვის სასჯელის გარდახდისათვის და თანვე ამ მაგალითით მიხვდით, თუ რა საშინელია შურის ძიება ღვთის ცოდვისათვის მაშ თუ რომ მარტო ცოდვის ჩრდილმა ზეციერის მამისა თვის წყევლის საგანი შექმნა მაცხოვარი ჩვენი, და გასწირა თავისი მხოლოდ შობილი ძე თვისი სასიკვდილოთ ჯვარსა ზედა მწარე შეურაცყოფითა და ტანჯვითა ჩით არღარ უნდა გაგვიკვირდეს საუკუნოებაზედ ჯოჯოხეთისა რომლით ცოდვილი ისჯება ოდეს შეუნანებლად მოკვდება და თუ მართალსა და უმანკოზედ ღვთის შურის ძიება ასრე მწარეა, რა საშინელი შურის-ძიება არ იქმნება თვით ცოდვილზედ?

ჰოი მაცხოვარო ჩვენო, შენის სატანჯველებისა და სიკვდილის მადლითა აღბეჭდე ჩვენში ის სასწაულებრივი გრძნობანი, რომელნიც იგრძნეს უგანჰჯო გაჩენითა ჟამსა შენი სიკვდილისასა, რომ კლდენ გაიპნენ, დედა მიწა ძრწოლაში შევიდა, მზე და მთვარე დაბნელდნენ, რათა ეს ჩვენი უგრძნობი გული დარბილდეს და სინანულისათვის აღიძრას ცრემლის ღვრითა, მოვშორდეთ ცოდვასა და ავიცილოთ თავიდგან საშინელი რისხვა სამართლის აშენისა იმ განკითხვის დღესა.

აი ჰატივცემულნო მსმენელნო, მაცხოვარიც ამას თხოულობს ჩვენგან, ესეიგი, ჭეშმარიტს მოქცევასა, ცოდვაზედ ხელის აღებასა, და სიცოცხლის დაწყებასა; ვინ იქნება ჩვენს შორის ისე უმადური და გულგარკინებული, რომ მაცხოვრის ესე ვითარ სანატრო და სანუგეშო სურვილზე უარი უთხრას და ან ზურგი შეუქციოს მას.

მაშ შევადგენოთ თვალნი და უმზიროთ ჯვარცმულს მაცხოვარსა, თუ ვითარ მწარედ სულს აბარებს. მკლავებ გაშლილი გულ გამსჭვალული და გვერდ გაღებულ მზად არის ჩვენს მისაღებლად. ჯვარზედ დამოკიდებული და სულ ამომავალი მწუხარებით ჩვენ დაგვცქერის და გვეუბნება: ჰოი საყვარელნო შვილნო, შემომხედეთ, მე თქვენთვის ვჰკვდები და თუ საჭირო იყოს ათას გზის სიკვდილი თქვენი ცხონებისათვის კიდევ დავითმენ. დაუკვირდით ამ ჩემს უმანკო ხორცსა, თუ ვითარ დაწყლულებული და სისხლით შესვრილია; ჰხედავთ, როგორ შეურაცხელყოფაში და მწუხარების ზღვაში ვცურავ და სულს ვაბარებ Attendite et videte si est dolor sicut dolor meus მოიხილეთ და იხილეთ უკეთუ არს წუხვილი მსგავსი წუხვილისა ჩემისა.—

—აჰ: მამაო, ნუ თუ ჩვენი გული გაქვავდება კლდეზედ უმაგრესად რომ არ შეიმუსროს სინანულითა და განაძიოს მისი ამფერი ტკბილნი მხილებანი? ნუ თუ გავჰბედავთ კიდევ მის შეწყენასა სატანჯველთა მისთა განახლებით?

არა, საყვარელო მაცხოვარო ჩვენო, არა, ჩვენ ყოვლითა გულითა ჩემითა მოვიქცევით შენდამი ცეცხ ქვეშ დავარდომილნი სიმდაბლით შენდობას ვითხოვთ შენგან. შენ ქვეყანად მობრძანდი ცოდვილთა სახსნელად. ჩვენ ვართ ის დაკარგული ცხოვარი აღვსილნი ყოველნი სახის ბოროტებითა. ვართ საწყალნი ცოდვილნი, გულით და სულით შენს მოწყალებას მოვჰმართავთ. მოიხსენე, რომ შენ ჩვენთვის მოჰკვდი და ჩვენის დახსნისათვის დაანთხიე შენი წმ. სისხლი. მაშ ინებე, ჰოი იესოვ მაცხოვარო უომ იგოდენთა შრომათა შენთა ჩვენთვის უსარგებლოდ არ ჩაიარონ.

duoerens me sedisti lassus, redemisti crucem passus tantus labor non cit cassus. და ღირს ვიქნათ შენთან საუკუნო დიდების დამკვიდრებისა. ამინ. (პ. ლ. ვ.)

---

## რომი და ქრისტიანობა საქართველოში.

ჩვენი ქართველობა, მესხები და ლაზები ქალდეველებად ცნობილ იყვნენ თავიდგანვე. VII საუკუნის წინ ქრისტეზედ, ნაბუპალასარმან წაიყვანა არტანითგან დიდძალი მხედრობა ქურთისტანში, სადაც ასურასტნელები უფლობდნენ. ისინი ქირას აძლევდნენ ჩვენს მხედრობას ერთგული სამსახურისთვის, და მხნე მეომრობისთვის. რა შეისწავლა ყოველი ასურისტნელების ძირი კუთხე და ყოველი გარემოება ნაბუპარსარმან, მოიმხრო ქურთები. დაესხა თავს ბაბილონის დედა ქალაქსა, აიღო ძლიერის

ბრძოლით, მოსპო მათი მეფობა და თვითონ ნაბუპალასარი გამეფდა. ეს იყო მამა ნაბუგოდონოსორ დიდისა. ასე მრავალი ომის შემდგომ, რაც ლურსმულ წარწერილებში არს მთელი მცირე აზიის მიდამოებსა. ბოლოს უფალნი გახდნენ ქალდეველები ასურესტნის ვრცელი სახელმწიფოსი. „არა აღვადგენდე მე ქალდეველთა ნათესავსა მწარესა და კიდე კაცისა მავალსა სიბრტყესა ზედა ქვეყნისათა დამკვიდრებად და საკარვებელთა არა მისთა, საშინელ და საჩინო არს მისგან მსჯავრი მისი, და მისაღებელი მისი მისი მისგან მოვიდეს! ამბაკ. ა. 6. 7. იმისთვის უწევს ქალდეველებს ასურასტნელეას,“ რომ, ქალდეველები უფრო მხნე, მართალი და გამჭრიახნი იყვნენ.

იგერ ამ გვარ თვისების მქონე გვარ ტომში. მოუხდა წმიდა ანდრია მოციქულს შემოსვლა და ქადაგება ქრისტეს სარწმუნოებისა და კიდევაც მოეწყო მალე ხალი და იქონია გავლენა კიდევაც ლასებს და აჭარა-გურულებზედა. მაშინვე ირწმუნეს, შეისწავლეს საკირვლად და მოინათლნენ, განუწესა მათ მღვდელნი დაუტოვა სასწაულით გადაღებული პირი ღვთის მშობლის ხატისა, რომელიც თან ჰქონ. და მისოდენ ფიცარზედ. გამოემშვიდობა, წამოვიდა სამცხისაკენ გადმოირა ოცხის მთა, ჩავიდა ოცხეს და იქიდგან მოემართა ზადენს, სადათ კერპები ჰყავდათ ზადენთა ერთად ამართულნი და ემსახურებოდნენ კრძალვით მცხოვრებნი. წმიდა ანდრიამ ლოცვით შემუსრა ის კერპები იძრა მიწა. ჩამოცვივდნენ და ერთიან მტვრად იქცნენ ზადენ გორითგან წამოსული წყაროს მივიდა. ქალაქ გარედ საქრისის მინდორში დადგა მეცხვრებთან იმ ღამეს. ციხიდგან გამოხედეს ნახეს ნათელი ნახეს ნათელი იდგა მთელ ღამეს. მეორე დღეს მოვიდნენ იკითხეს და სცნეს, რომ ქრისტიანობას ჰქადაგებდა: და ამედებდა ამ ხატის ძლიერებით ყოველნაირ სნეულთ გავკურნებ და ვიდრე მკვდართაც აღვადგენ განვაცოცხლებ. ეს ამბავი მაშინვე აცნობეს ადგილობრივ მთავრის ქვრივსა, რომელსაც დღეს ერთი ყმაწვილი კაცი მოკვდი მოდა და მგლოვიარე დიდად, მოუწოდა იმ ქვრივმა წმიდა ანდრია მოციქულსა, დაუვარდა ფეხ ქვეშ და სთხოვა შეწევნა: მანც მოახსენა თუ ირწმუნებ ქრისტეს სარწმუნოებას, გაგიცოცხლდება შვილი, რა ნება მისცა. მაშინ ილოცა მოციქულმან; შემდგომ შეახო ხატი იესოს სახელით თუ არა, მაშინვე განცოცხლდა და ყმაწვილი წამოდგა ფეხზედ, იქ დამსწრეთ ყოველთ გასაკვირვებლად. მოციქულმან უქადაგა აწვილა სარწმუნოება ქრისტესი და მონათლა ყველა მსურველნი, მოიწვია მთავრის ქვრივმან ქრისტიანობისთვის ყოველნი აზნაურნი მთელი მცხოვრებლებით. რა მივიდნენ და ნახეს სასწაული გაცოცხლებული მთავრის შვილი და ისმინეს მოციქულის ქადაგება. ასტყდნენ კერპის მღვდელნი ახირებულად დი ვერაფრით ვერ დაამშვიდეს. იძახდნენ: ჩვენი ღმერთები უფრო ძლიერნი არიანო.

სიმართლის აღსადგენად შეასვენეს ხატი საკერპოში კერპებს შუა. აპოლონისა და არტემისა დაკეტეს საკერპოს კარი. მეორე დღეს გააღეს კარი და ნახეს, რომ ჩამოცვივნულიყვნენ მათი კერპები და ერთიან დალეწილიყვნენ და ის ხატი კი მზესავით ბრწყინავდა. გამტყუნდნენ, აღარა თქვეს რა. პირიქით იმათაც ირწმუნეს ქრისტე და ყველანი დაინათლნენ ერთიან დიდით წვრილამდის ქრისტიანად. გაასწავლა დაუდგინა მღვდელნი, მოიარა მთელი სამცხის მხარე, მიდამონი, არტანი, შავშეთი, კლარჯეთი, დააქრისტიანა ყველანი მაგრამ მთავრის ქვრივის თხოვნისაებრ ღვთის მშობლის ხატი აწყვერს დაასვენეს. ეწოდა მისთვის ხატს აწყვერის ღვთის მშობელი, რომელ დღესაც გელათის მონასტერში არის დიცული.

საკვირველი ის არის რომ ძველი თქმულება შეურყევლად დარჩენილია. ოცხის მთას რკინის ჯვარი ჰქვიან. თვითონ ანდრია მოციქულს აუმართვინებია ის ჯვარი. მერმე მის ნავალს ადგილებზედ სულ ჯვრები აუმართიათ, როგორც წმ. ჯვარი ზანდოს აქეთ ახალციხის მაღალ გორას და რქმევია ანდრიას წვერი, რომ წამხდარის ენის ხანდრის წვერს უძახიან.

(გასაგრძობია.)

რედ.-გამომც. პ. დ. მულაშოვი

სტამბ. „გუტემბერგისა“ ბ. ს. ეხაძე. სასახლის ქუჩ.